პროლეტარიელნო, ერთელ ძალეულნა, შეეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეურნეობათა დაგეგმვის საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 20 თებერვალი, 1949 წ. № 36 (5839). ფასი 20 კაპ.

1949 წელს სოფლად მთავარი ამოცანაა კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული-სამეურნეო განმტკიცება და მათი საზოგადოებრივი საკუთრების გადიდება. მიწათმოქმედების დარგში ძირითადი ამოცანაა მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავლის შემდგომი გადიდება ნათესების მოსავლიანობის გადიდების გზით, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნათესბაღახიანი თესლბრუნვის ათვისებას და ზუსტად დაცვას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში ევკალიპტის კულტურის განვითარების დარგში მიღწევებისათვის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და საკუთარ მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ითვალისწინებს რა ევკალიპტის, როგორც ძვირფასი ტექნიკური თვისების მატარებლის ხის ჯიშის, უდიდეს მნიშვნელობას და კოლმეურნეთა, ტყესაცავი სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა წასახალისებლად უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე ევკალიპტის კულტურის განვითარების დარგში მიღწეულებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, სატყეოებისა და ტყესაცავი სადგურების მერგოლურებსა და ბრიგადირებს, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებს და მტს-ებისა და ტყესაცავი სადგურების მექანიკოსებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და აგრონომებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, მთავარი და უფროსი აგრონომებს, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა გამგეებს, კოლმეურნეობათა უბნის აგრონომებს, სატყეო მეურნეობისა და ტყესაცავი სადგურების დირექტორებს, უფროს მეტყევეებს, ტყესაცავი სადგურების მეტყევეებს და მეტყევის თანაშემწეებს, ტყის აგრომელიორატორებს და მტს-ების უფროს აგრონომებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება ენიჭებათ ან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ჯილდოვდებიან ევკალიპტის ნარგავთა გაშენების შემდეგი მაჩვენებლების მესრულებისათვის:

სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება მოხდეს ევკალიპტის დარგვის გეგმის მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის, თუ გახარებული და შენარჩუნებულია სულ მცირე 90 პროცენტი დარგული მცენარეებისა, რომლებმაც ორი წლის ასაკს მიაღწიეს და რომელთა კარგი მოვლა უზრუნველყოფილია;

ლენინის ორდენით დაჯილდოება მოხდეს ევკალიპტის დარგვის გეგმის მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის, თუ გახარებული და შენარჩუნებულია სულ მცირე 85 პროცენტი დარგული მცენარეებისა, რომლებმაც ორი წლის ასაკს მიაღწიეს და რომელთა კარგი მოვლა უზრუნველყოფილია;

ორდენი „შრომითი დამსახურებისთვის“ — ევკალიპტის ნარგავთა გაშენების შემდეგ სულ მცირე 20 პროცენტის და ევკალიპტის სტანდარტული ნერგების გამოყენების გეგმის სულ მცირე 20 პროცენტის გადამატებით შესრულება, ენიჭებათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება. გეგმის სულ მცირე 15 პროცენტის გადამეტებით შესრულებისას, აღნიშნული მუშაკები ჯილდოვდებიან ლენინის ორდენით, ხოლო სულ მცირე 10 პროცენტის გადამეტებით შესრულებისას — შრომის წითელი დროშის ორდენით.

აღნიშნული მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება და სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება ხდება, თუ აუცილებლად შესრულებულია რაიონში ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის კონტრაქტაციის და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა, მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმა, სუბტროპიკული კულტურების სარგავი მასალის გამოყენების გეგმები, თუ რაიონში დარგულია სულ მცირე 200 ათასი ევკალიპტი და თუ გახარებული და შენარჩუნებულია:

ა) სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისათვის — სულ მცირე 90 პროცენტი დარგული მცენარეებისა, რომლებმაც ორი წლის ასაკს მიაღწიეს და რომელთა კარგი მოვლა უზრუნველყოფილია;

ბ) ლენინის ორდენით დაჯილდოებისათვის — სულ მცირე 85 პროცენტი დარგული მცენარეებისა, რომლებმაც ორი წლის ასაკს მიაღწიეს და რომელთა კარგი მოვლა უზრუნველყოფილია;

გ) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებისათვის — სულ მცირე 80 პროცენტი დარგული მცენარეებისა, რომლებმაც ორი წლის ასაკს მიაღწიეს და რომელთა კარგი მოვლა უზრუნველყოფილია.

2. ევკალიპტის ნერგების გამოყენების ნორმებად ჩაეთვლებიან, რომლებიც მიაღწევენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის სისტემატურად გამოშვებას, ამასთან ექნებათ შრომის უდიდესი ნაყოფიერება და ნედლეულის ეკონომია.

დაწესებულია მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში, როცა შეფასებულ იქნება ცალკეულ საწარმოთა უბნებისა და ბრიგადების მიერ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების დარგში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ მიენიჭებათ „საუკეთესო ხარისხის ბრიგადისა“ და „საუკეთესო ხარისხის უბნის“ წოდება. შეჯიბრების შედეგები შეჯამდება ყოველკვარტალურად.

ამ წოდებათა მისანიჭებლად კანდიდატებს წამოაყენებენ მოკავშირე რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარი სამმართველობები შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ წინადადება მისცა საწარმოთა დირექტორებს საფაბრიკო-საქართნო კომიტეტებთან ერთად შეიმუშაონ პირობები მინასაფაბრიკო სოციალისტური შეჯიბრებისა „საუკეთესო ხარისხის ბრიგადისა“ და „საუკეთესო ხარისხის საამქროს (უბნის, ცვლის)“ წოდებაზე, ყოველთვიურად შეაჯამონ შეჯიბრების შედეგები, შეტმნან ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ ბრიგადებმა წარმატებით შეასრულონ პრი�ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების დარგში ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

საწარმოებში უნდა მოეწყოს იმ ბრიგადების, საამქროების, უბნების, ცვლების მუშაობის შედეგებისა და მეთოდების ფართო ჩვენება, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწევენ. ეწყობა წუნის აღმოფხვრისა და პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისაკენ მიმართული რაციონალიზატორული წინადადებათა შეგროვება. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საგაზაფხულო თესვისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილეს ცნობები საქართველოში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 9 თებერვლის გამოქვეყნებული დადგენილების შესრულების თვალსაზრისით, და აღნიშნავენ, რომ საქართველოს კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ახორციელებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებას და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმას, სეზონურად წარმატებებს მიაღწიეს მარცვლეული, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და ძვირფასი მრავალწლიანი ნარგაევებისათვის ფართობების გადიდების საქმეში.

მიუხედავად საქართველოს მთელი რიგი რაიონებისათვის არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა (გვალვა), მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო მოსავლმა 1948 წელს კოლმეურნეობებში გადააჭარბა მარცვლეულის ომამდელი 1940 წლის საერთო მოსავალს 2.904,5 ათასი ცენტნერით, ხოლო ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა 1948 წელს 1940 წელთან შედარებით 53 პროცენტით გაიზარდა. მარშან მიღებულ იქნა პირველი და მეორე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთლის, ციტრუსების, ყურძნის, ხილისა და თამბაქოს კარგი მოსავალი. ყველა ამ კულტურის განვითარებაში ბევრად არის გადაჭარბებული 1940 წლის დონე.

გადაჭარბებით შესრულდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის სულადობის მიხედვით. მიღწეულია წარმატებანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაშიც.

საქართველოს კოლმეურნეობებში 1948 წლის შემოდგომაზე წარმატებით ჩატარდა საშემოდგომო თესვა, ამასთან საშემოდგომო მარცვლეული კულტურები სახელმწიფო გეგმის გადამეტებით დათესილია 11 ათას ჰექტარზე მეტი.

მაგრამ საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში 1948 წელს შეიძლებოდა უფრო მეტი შედეგების მიღწევა, მთელი რიგი რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მეტი ყურადღება რომ დაეთმოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და მტს-ების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის და საჭირო დახმარება გაეწიათ მათთვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მომზადებისა და ჩატარებაში. 1947 წელს 1948 წლის მოსავლისათვის დაწესებულ აგროტექნიკურ ვადაზე საშემოდგომო მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულდა რესპუბლიკაში მხოლოდ 84,5 პროცენტით, დანარჩენი ნაწილი კი დაგვიანებით დაითესა.

განსაკუთრებით გაჭიანურდა 1948 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო კულტურების თესვა ადიგენის, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, მარნეულის, ბოლნისის და დმანისის რაიონების კოლმეურნეობებში.

1948 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმა დაწესებული აგროტექნიკური ვადისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 85,0 პროცენტით, ფართობის დანარჩენი ნაწილი კი დაითესა აგროტექნიკური ვადის დარღვევით. საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესვა გაჭიანურდა გეგეკკორის, წყალტუბოს, სამტრედიის, ვანის, ჩხარის, ცაგერის, ბოგდანოვკის, წალკისა და დმანისის რაიონების კოლმეურნეობებში.

ამ რაიონების კოლმეურნეობებში თესვის სამუშაოების გაჭიანურებამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემცირება.

1949 წელს სოფლად მთავარი ამოცანაა კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება და მათი საზოგადოებრივი საკუთრების გადიდება. მიწათმოქმედების დარგში ძირითადი ამოცანაა მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავლის შემდგომი გადიდება ნათესების მოსავლიანობის გადიდების გზით, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნათესბაღახიანი თესლბრუნვის ათვისებას და ზუსტად დაცვას.

ამავამად საქართველოს ყველა კოლმეურნეობა აქტიურად ემზადება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის. კოლმეურნეობები ამზადებენ თესლს, ინვენტარს, ცოცხალ გამწევ ძალას, სასუქს, რათა 1949 წელს მიიღონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის კიდევ უფრო უხვი მოსავალი.

1949 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაგეგმვა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო გეგმა ავტოხმოვერ რესპუბლიკებს, ოლქებსა და რაიონებს გაცლებით უფრო ადრე ეცნობათ, ვიდრე 1948 წელს.

ადგილებზე მოეწყო თათბირები სახელმწიფო დაგალებათა გაცნობისა და კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის საკითხებზე. კოლმეურნეობებში ხელახლა სინჯავენ გამომუშავების ნორმებსა და საბუქალთთა შრომადღეებში შეფასებას შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდების მიზნით და აძლიერებენ ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯებს.

მოწიხავეთა გამოცდილების საფუძველზე ბევრი კოლმეურნეობა, ბრიგადა და რგოლი კისრულობს ვალდებულებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მათთვის დაწესებული გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 10.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 16 ცენტნერი ხორბალი, აქედან 2.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,3—14,6 ცენტნერისა, 2.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 50 ცენტნერი სიმინდი, აქედან 500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარიდან—80 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული 27-29 ცენტნერის ნაცვლად, 3.300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—13,5 ცენტნერი თამბაქო, აქედან 1.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—16 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით დაწესებული 11,1—12,7 ცენტნერისა.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც 1949 წლის მოსავლისათვის გეგმის გადამეტებით დათესეს 2.500 ჰექტარი საშემოდგომო თავთავიანი კულტურები, ვალდებულება იკისრეს 17.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 18 ცენტნერი ხორბალი, გეგმით გათვალისწინებული 14,0—16,5 ცენტნერის ნაცვლად.

ბორის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 5.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 15,0 ცენტნერი ხორბალი, ანუ 1,7—4,2 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით არის დაწესებული; 4.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 25 ცენტნერი სიმინდი, გეგმით გათვალისწინებული 18,5—20,5 ცენტნერის ნაცვლად; შაქრის ჭარხალი — 1.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 300 ცენტნერი, ანუ 20-40 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით არის დაწესებული და ხილი—1.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი, ანუ 10-15 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით არის დაწესებული.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 60 ცენტნერი სიმინდი, გეგმით გათვალისწინებული 27-29 ცენტნერის ნაცვლად, 200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—15,5 ცენტნერი თამბაქო, ანუ 3,4—5 ცენტნერით მეტი ვიდრე, გეგმით არის დაწესებული, 660 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—45 ცენტნერი ყურძენი, ანუ 4,8 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით არის დაწესებული.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1.300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 45 ცენტნერი ყურძენი, ანუ 5—9 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით არის დაწესებული.

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1.250 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 43 ცენტნერი ყურძენი, ანუ 3—7 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით არის დაწესებული.

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1.300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 50 ცენტნერი ყურძენი, აქედან 500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—80 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული 38-42 ცენტნერის ნაცვლად.

აფაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს 1.350 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 11 ცენტნერი თამბაქო, გეგმით გათვალისწინებული 7,6—9,2 ცენტნერის ნაცვლად.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოიყვანონ და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 1.000 ტონა ხარისხიანი ჩაის ფოთოლი, 6.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 25 ცენტნერი სიმინდი, ანუ 2-4 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით არის დაწესებული.

აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოიყვანონ და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 1.000 ტონა ხარისხიანი ჩაის ფოთოლი, 6.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 25 ცენტნერი სიმინდი, ანუ 2-4 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით არის დაწესებული.

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოიყვანონ და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 400 ტონა ხარისხიანი ჩაის ფოთოლი და მიიღონ ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი 300 მილიონი ცალის რაოდენობით.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოიყვანონ და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 1.500 ტონა ხარისხიანი ჩაის ფოთოლი და მიიღონ ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი 160 მილიონი ცალის რაოდენობით.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებში სახელმწიფო გეგმა კოლმეურნეობებისათვის არ გაუცვლიათ და კოლმეურნეობები არ შესდგომიან საწარმოო გეგმებისა და საშემოსავლო - საგასალო ხარჯთაღრიცხვების შედგენას, არ არის აგრეთვე შეჯამებული წლიური მუშაობის შედეგები და კოლმეურნეობებში არ ჩატარებულა საანგარიშო კრებები.

კოლმეურნეობების წლიური ანგარიმების განხილვა და დამტკიცება კოლმეურნეთა საერთო კრებებზე ჩამორჩენა ბოგდანოვკის, წალკის, ყაზბეგის, ახმეტის, მარნეულის, დმანისის, საგარეჯოს და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

ამ მიზეზით მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში დღემდე არ გადაუსინჯავთ გამომუშავების ნორმები და შეფასებები შრომადღეებში, არ შესდგომიან საწარმოო გეგმებისა და საშემოსავლო-საგასალო ხარჯთაღრიცხვების შედგენას. ეს მოწმობს, რომ ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო ჯეროვნად ვერ აფასებს კოლმეურნეობებში შრომის სწორი დაგეგმვისა და ორგანიზაციის მნიშვნელობას,

კოლმეურნეობებში დაგეგმვის ორგანიზაციამი, რგოლებისა და ბრიგადების მექანაცა და განმტკიცებაში არსებულ ხაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფაზეთისა და აჭარის ასსრ მიისტერთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) უახლოეს დღეებში დაამთავრონ სოფლის მეურნეობის განვითარების 1949 წლის გეგმის თვითეული კოლმეურნეობისათვის გაცობა;

ბ) დაამთავრონ კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების შედგენა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე მათი განხილვა და დამტკიცება, ავრეთვე ამ გეგმების განხილვა რაიაღმასკომებსა და პარტკომის რაკომების მიერ;

გ) გაანაღონ კოლმეურნეობებში მუშაობა საწარმოო გეგმების, საშემოსავლო-საგასავლო ხარჯთაღრიცხვების, ბრიგადებისა და რგოლებისათვის დაკალებათა შესადგენად, უზრუნველყონ ამ საქმეში თვით კოლმეურნეთა ფართო და აქტიური მონაწილეობა და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობათა გამგეობებს გეგმებისა და დაკალებების შედგენაში სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჩაბმის გზით;

დ) პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობათა გამგეობებს გამომუშავების ნორმებისა და სამუშაოთა შრომადღეებით შეფასების გადასინჯვაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების გათვალისწინებით, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შემცირების გატარებასა და ამის ხარჯზე საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების განმტკიცებაში;

ე) დაამამეტლეტონ საწარმოო ბრიგადები და რგოლები და მათ სათავეში ჩაუყენონ საუკეთესო კოლმეურნეები. მიეჩინონ ბრიგადებს მუდმივი ნაკვეთები, ცოცხალი გამწევი ძალა და ინვენტარი. გააკნონ თვითეულ ბრიგადასა და რგოლს ნათესი ფართობისა და მოსავლიანობის დაკალებანი. შეიმუშაონ აგროტექნიკური ღონისძიებანი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების პირობები

მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგის საწარმოებში კოასანიზოლის კამეოლის კომბინატის ოსტატის თანაშემწის ამხ. ა. ს. ჩუტკიხის წინადადებით ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და საფეიქრო, ტყავისა და ფეხსაცმლის, სამკერვალო და სატრიკოტაჟო და მრეწველობის მთელ რიგ სხვა დარგთა მუშების პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა, რომლებიც ყოველმხრივ უჭერენ მხარს ალექსანდრე ჩუტკიხის ძვირფას წინადადებას, გამოაცხადეს პირობები მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრებისა „საუკეთესო ხარისხის ბრიგადისა“ და „საუკეთესო ხარისხის უბნის“ წოდებაზე.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ის ბრიგადები და უბნები ჩაითვლებიან, რომლებიც მიაღწევენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის სისტემატურად გამოშვებას, ამასთან ექნებათ შრომის

საგაზაფხულო თესვისათვის საქ. სსრ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ

(დასასრული)

სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად თვითეული ნაკვეთის პირობების გათვალისწინებით. განუსაზღვრონ თვითეულ კოლმეურნეს დავალება იმ მიზნით, რომ მთლიანად ბრიგადამ და რგოლმა შეასრულოს უხვი მოსავლის მიღების ვალდებულება.

თესლის მომზადება

მეტმა წილმა კოლმეურნეობებმა და რაიონებმა სავსებით უზრუნველყვეს თავისი საჭიროება მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესლით. რესპუბლიკაში გამოყოფილია 11 პროცენტით მეტი თესლი, ვიდრე საჭიროა, ამასთან საგაზაფხულო მარცვლეულის თესვის სახელმწიფო გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია ჯიშიანი თესლით.

მარცვლეული კულტურების თესლით სავსებით უზრუნველყვეს თავისი საჭიროება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, ახალციხის, გორის, კასპის, გურჯაანის, წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, გარდაბნის, მარნეულის, ზუგდიდის, აბაშის, ცხაკაიას, მახარაძის, ქუთაისის, ამბროლაურის, ონისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა.

მაგრამ ამასთან ერთად არიან რაიონები და კოლმეურნეობები, რომლებმაც დღემდე ვერ უზრუნველყვეს სათესლე ფონდების გამოყოფის გეგმის შესრულება. ქარელის რაიონში მარცვლეულის თესლის გამოყოფის გეგმა შესრულებულია 72,5 პროცენტით, მცხეთის რაიონში—89,7 პროცენტით, საგარეჯოს რაიონში—66,1 პროცენტით, დმანისის რაიონში—70,3 პროცენტით.

ვერ შეასრულეს კარტოფილის თესლის გამოყოფის გეგმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (90,4 პროცენტი), ახალქალაქის რაიონის (95,1 პროცენტი), ბოგდანოვკის (69,1 პროცენტი), ბორჯომის (93,5 პროცენტი), სიღნაღის (45,5 პროცენტი), თელავის (38,6 პროცენტი), ახმეტის (24,0 პროცენტი), მცხეთის (77,7 პროცენტი), მარნეულის (76,4 პროცენტი), საგარეჯოს (49,5 პროცენტი) რაიონების კოლმეურნეობებმა.

ნათესბალახიან თესლბრუნვაზე გადასვლისა და ამასთან დაკავშირებით მრავალწლიანი უსაფარო და საფარქვეშა ბალახების ნათესი ფართობის გადიდების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება ამ კულტურების თესლზე. მიმდინარე წელს კოლმეურნეობები უკეთ არიან უზრუნველყოფილი მრავალწლიანი ბალახების თესლით, მაგრამ თესლის გამოყოფა ჩამორჩება ქარელის, ხაშურის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებში.

სავსებით არადამაკმაყოფილებელია ერთწლიანი ბალახების თესლის გამოყოფა: გამოყოფილია საჭირო რაოდენობის 64,5 პროცენტი. ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში გამოყოფილია ამ თესლის მხოლოდ 58,1 პროცენტი, ბოგდანოვკის რაიონში—30,6 პროცენტი, ასპინძის რაიონში — 18,8 პროცენტი, წალკის რაიონში — 12,4 პროცენტი და დმანისის რაიონში—10,8 პროცენტი.

რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში გაჩაღებულია მუშაობა საგაზაფხულო თესვისათვის მარცვლეული კულტურების თესლის მოსამზადებლად. ხდება მისი გაწმენდა და თესვისათვის ვარგისიანობის შემოწმება. ა. წ. 10 თებერვლისათვის არსებული მდგომარეობით გაწმენდილია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მთელი საჭირო თესლის 76,2 პროცენტი. ახალციხის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, ბოლნისის, ამბროლაურის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში ეს სამუშაო დამთავრებულია ან დასასრულს უახლოვდება. მაგრამ არიან კოლმეურნეობები და რაიონები, სადაც თესლის გაწმენდა და შემოწმება ძალიან ჩამორჩება და იქმნება სათესლე მასალის დროზე მომზადებისა და კონდიციამდე აყვანის ჩაშლის საფრთხე. ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში გაწმენდილია საჭირო თესლის მხოლოდ 61,4 პროცენტი, ადიგენის რაიონში—55,4 პროცენტი, ასპინძის რაიონში—89,2 პროცენტი, ხაშურის რაიონში—26,5 პროცენტი, ქარელის რაიონში — 31,3 პროცენტი, ბორჯომის რაიონში—49,6 პროცენტი, სიღნაღის რაიონში—42,8 პროცენტი, მცხეთის რაიონში—19,3 პროცენტი, საგარეჯოს რაიონში—18,6 პროცენტი და დმანისის რაიონში—36,3 პროცენტი.

იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობები სავსებით იყვნენ უზრუნველყოფილი ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის საკუთარი თესლით 1949 წლის საგაზაფხულო თესვისათვის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომი, რაიაღმასკომები, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონული კომიტეტები ვალდებული არიან:

ა) მიიღონ გადამწყვეტი ზომები და უახლოეს დროში დაამთავრონ ყველა კოლმეურნეობაში მარცვლეული, ზეთოვანი, ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესლე ფონდების გამოყოფა საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ოდენობით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თვითეული კოლმეურნეობის უზრუნველყოფას მრავალწლიანი ბალახების თესლით, რისთვისაც საჭიროა მთლიანად იქნას გამოყენებული კოლმეურნეობათა შინაგანი შესაძლებლობანი, აგრეთვე მოეწყოს ბალახის თესლის შესყიდვა სხვა კოლმეურნეობებისაგან;

ბ) მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას მარცვლეული კულტურების მთელი თესლის გაწმენდისა და თესლის საკონტროლო ლაბორატორიებში შემოწმების საქმეში, მოაწყონ მარცვალსაწმენდი მანქანების შეუფერხებელი მუშაობა, უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ თესლის მომზადების დამთავრება საგაზაფხულო თესვისათვის თვითეულ კოლმეურნეობაში;

გ) უახლოეს დღეებში დაამთავრონ კოლმეურნეობების მიერ მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის, აგრეთვე ბალახების თესლის გამოტანა, რაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია ჩვეულებრივ მარცვალზე გადასაცვლელად, აგრეთვე ფართოდ გააჩაღონ კოლმეურნეობათა შორის თესლის გაცვლა.

1949 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და მუშა-პირუტყვის მომზადება

კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალის დროულად მომზადებაზე ბევრად არის დამოკიდებული საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარება.

1949 წლის 10 თებერვლის ცნობებით კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. შესაკეთებელი 37.000 გუთნიდან შეკეთებულია მხოლოდ 18.235, ე. ი. ნახევარზე ნაკლები, 700 სათესი მანქანიდან—230 და 6.500 კულტივატორიდან—1.224.

წითელწყაროს და ყვარლის რაიონების კოლმეურნეობებმა მთლიანად დაამთავრეს საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთება. დასასრულს უახლოვდება ინვენტარის შეკეთება აფხაზეთის ასსრ, ამბროლაურისა და ასპინძის რაიონების კოლმეურნეობებში. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთებაში ძალიან ჩამორჩებიან წალკის, ახმეტის, ბოლნისის, ლანჩხუთის, წყალტუბოს, აბაშის, ქუთაისის, ონის, ადიგენის, ხაშურის, ბორჯომისა და დმანისის რაიონების კოლმეურნეობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ საკოლმეურნეო ინვენტარის შეკეთების ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ კოლმეურნეობათა დროზე მომზადებას საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის.

საკოლმეურნეო ინვენტარის რემონტის დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ ცეკავშირმა ვერ უზრუნველყო რკინის, ქვანახშირისა და სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სხვა მასალის შეუფერხებელი შეზიდვა და კოლმეურნეობებისათვის მიყიდვა.

მთელ რიგ რაიონებში ცუდად არის დაყენებული მუშა პირუტყვის მოვლა და შენახვა, ბევრ კოლმეურნეობაში მუშა პირუტყვი გადაყვანილი არ არის გაძლიერებულ კვებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

ა) უახლოეს დღეებში აღმოფხვრან ჩამორჩენა კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთების საქმეში და მიაღწიონ იმას, რომ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დასაწყისისათვის მთელი ინვენტარი მოყვანილ იქნას სამუშაო მდგომარეობაში;

ბ) დაუყოვნებლივ აღმოფხვრან საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის ცოცხალი გამწევი ძალის მომზადებაში არსებული ნაკლოვანებანი, შექმნან თვითეულ კოლმეურნეობაში საგაზაფხულო თესვის პერიოდისათვის საკვების საჭირო მარაგი და მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე მუშა-პირუტყვი გადაიყვანონ გაძლიერებულ კვებაზე, წესრიგზე მოიყვანონ მთელი აკაზმულობა, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებები;

გ) საკოლმეურნეო ინვენტარის შეკეთებაში ნაკლოვანებათა თავის დროზე აღმოფხვრის, ინვენტარის შეკეთების ხარისხის ამაღლებისა და მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის კოლმეურნეობათა რეზერვების უფრო სრული გამოვლინების მიზნით მოეწყოს შეჯიბრებულ კოლმეურნეობათა შორის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადყოფნის ურთიერთშემოწმება და შემოწმების შედეგები აუცილებლად განხილულ იქნას კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

საზამთრო აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა ნათესებში ორგანულ და მინერალურ სასუქთა შეტანა. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში მინდვრად გატანილია 120 ათასი ურმით მეტი ნაკელი, ვიდრე შარშან, მთელ რიგ რაიონებში ამ მნიშვნელოვან საქმეს დღემდე არ შესდგომიან. ცხაკაიას, გეგეჭკორის, ხობის, წალენჯიხის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქუთაისის, წყალტუბოს, ვანის, სიღნაღის, ლაგოდეხისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებში ნაკელის გატანა ჯერ არ დაუწყიათ. მხოლოდ ონის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, თეთრი წყაროს რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში მინდვრად გატანილია ადგილობრივი ორგანული სასუქების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

წელს საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მეტ მინერალურ სასუქს მიიღებენ, ვიდრე 1947 წელს. მაგრამ საქსოფლმომარაგების საწყობებიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სასუქის გატანა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამ მიზეზით საქსოფლმომარაგების საწყობებში დაგროვდა დიდძალი მინერალური სასუქი, რაც განკუთვნილია მიმდინარე წლის ზამთარში და გაზაფხულზე ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისათვის გამოსაყენებლად.

ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას საზამთრო აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

ა) მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და კოლმეურნეობებში მოაწყონ ადგილობრივი ორგანული სასუქების დაგროვება და მათი შეტანა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ნათესებში;

ბ) მოაწყონ საქსოფლმომარაგების საწყობებიდან მინერალური სასუქების შეუფერხებელი გატანა და ამ მიზნისათვის გამოიყენონ როგორც თვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრანსპორტო საშუალებანი, ისე „ტეხკულტტრანსის“ და სხვა ორგანიზაციების ავტოპარკი;

გ) თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას გააცნონ ნაკელის დამზადებისა და მინდვრად გატანის, აგრეთვე მინერალური სასუქების გატანის გეგმა და დააწესონ ყოველდღიური კონტროლი თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ ამ დავალებათა შესრულებისადმი.

კადრების მომზადება

საქართველოს სსრ რაიონებში სხვადასხვა პროფილით სწავლობს 62.493 კაცი, მათ შორის 14.100 საწარმოო ბრიგადების ბრიგადირი და 11.880 მერგოლური. კარგად ხორციელდება მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადება მოკლევადიან კურსებზე მახარაძის რაიონში, სადაც სწავლობს 2.140 კაცი, წულუკიძის, წალენჯიხის, ონის, მაიაკოვსკისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ყველა რაიონში ქოხ-სამკითხველოებთან, კლუბებთან, სკოლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებთან მოწყობილია სპეციალური წრეები აგრობიოლოგიის, აგროტექნიკის და სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატთა გამოცდილების შესასწავლად.

მნიშვნელოვანი მუშაობა სრულდება ტრაქტორისტების, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირების, კომბაინერების, კომბაინერთა თანაშემწეების, მტს-ების მექანიკოსების, აღმრიცხველ-ჩამსხმელთა, ზეთების რეგენერაციის ოსტატთა და სხვათა მოსამზადებლად. ამჟამად მექანიზაციის სკოლებში და მტს-ებთან არსებულ კურსებზე სწავლობს 1.516 კაცი. მაგრამ დმანისის, შინდისის, ახალსოფლისა და შულავრის მტს-ებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა კადრების მოსამზადებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს გააძლიერონ მუშაობა მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მოსამზადებლად და კოლმეურნეთა აგროტექნიკური სწავლების მოსაწყობად ყოველ საკოლმეურნეო კლუბთან, ქოხ-სამკითხველოსთან და ამ სწავლებისათვის გამოიყენონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატები, საშუალო სკოლების მასწავლებლები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების მეცნიერი მუშაკები და მასწავლებლები.

მტს-ების მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები 1949 წელს საგაზაფხულო თესვას იწყებენ ტექნიკით უფრო აღჭურვილნი, ვიდრე წარსულ წლებში. საქართველოს მტს-ები მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღებენ ახალ ტრაქტორებსა და ნიადაგის დამმუშავებელ მანქანებს.

მტს-ების ტექნიკურად აღჭურვილობის ზრდა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს სოფლის მეურნეობაში ტექნიკის დროზე მომზადებისა და უნარიანი გამოყენებისათვის.

1948 წელს საქართველოს სსრ მტს-ების მუშაკებმა გააუმჯობესეს მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენება, შეამცირეს სატრაქტორო სამუშაოთა ვადები და გააუმჯობესეს მათი ხარისხი.

1949 წელს მტს-ებმა არათუ უნდა შეინარჩუნონ მოპოვებული წარმატებანი, არამედ უნდა მიაღწიონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის მეტ ნაყოფიერებას და გადააჭარბონ ომამდელი, 1940 წლის გამომუშავების დონეს, უფრო გააუმჯობესონ სამუშაოთა ხარისხი და უზრუნველყონ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება. ამისათვის საჭიროა დროზე და ხარისხოვნად მოამზადონ ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები 1949 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის მომზადება მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვისათვის უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე 1948 წელს. 15 თებერვლისათვის ტრაქტორთა საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა შესრულებულია 96,8 პროცენტით. შეკეთებულია 203 ტრაქტორით, 119 გუთნით, 38 სათესი მანქანით და 18 კულტივატორით მეტი, ვიდრე შარშან.

ტრაქტორების რემონტი მთლიანად, დაწესებულ ვადაზე ერთი თვით ადრე, დაამთავრა 42 მტს-მა. ტრაქტორების რემონტის გეგმას მალე შეასრულებენ ქარელის, გალის, სართიჭალის, წალკისა და სხვ. მტს-ები.

ამასთან ერთად ცალკეულ მტს-ებში არის სერიოზული ჩამორჩენა მომავალი საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მანქანა-ტრაქტორთა პარკის მომზადებაში.

ტრაქტორების რემონტში ჩამორჩებიან: საგარეჯოს მტს-ი, რომელმაც შეაკეთა 29 ტრაქტორი, გეგმით უნდა შეეკეთებინა 43, ულიანოვკისა — შეაკეთა 31 ტრაქტორი ნაცვლად 41-სა, შულავერისამ — 18 ტრაქტორი, გეგმით იყო 22, ახალსოფლისამ—28 ტრაქტორი, გეგმით იყო 34, სტალინირისამ—16 ტრაქტორი, გეგმით იყო 20 ტრაქტორი.

სათანადო ყურადღება არ ექცევა რემონტზე შრომის ორგანიზაციას და რემონტის ხარისხისადმი კონტროლს: ასურეთის, ბოლნისის, შულავრის, დმანისის, გორის, შინდისისა და მთელ რიგ სხვა მტს-ებში გამოვლინებულია არაკეთილხარისხოვნად შეკეთებული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვების ფაქტები.

საქსოფლმომარაგებამ ვერ უზრუნველყო რაიონებში გუთნების, კულტივატორებისა და სათესი მანქანების სამარაგო ნაწილების, აგრეთვე სხვა სარემონტო მასალის, ხელსაწყოების და ინსტრუმენტების საჭირო რაოდენობით შეტანა.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა წარმატებით შესრულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საწვავით და საცხები მასალით სატრაქტორო პარკის დროულად უზრუნველყოფაზე. ამა წლის 10 თებერვლისათვის მტს-ებში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.341 ტონისა, შეტანილია მხოლოდ 1.333 ტონა საწვავ-საცხები მასალა ანუ 18 პროცენტი.

ბევრი მანქანა-ტრაქტორთა სადგური — ხაშურის, ახალსოფლის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, კაჰრეთის, ულიანოვკის, შირაქის, ახმეტის, დიღმის, მარტყოფის, თელეთის, მცხეთისა — ჯერ კიდევ არ შესდგომია საწვავის გამოტანასა და წაღებას, არ ცდილობს გამონახონ დამატებით ნავთის ტარა საწვავის მარაგის შესანახად და არ არემონტებს მოძრავ ნავთის ტარას მომავალი მინდვრის სამუშაოებისათვის.

საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობა უნდა შესრულდეს მტს-ების მიერ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებათა დასადებად, უნდა შესდგეს მტს-ების საწარმოო გეგმები, აგრეთვე დავალებანი სატრაქტორო ბრიგადებისათვის, ამასთან უნდა დაწესდეს თვითეული სახის სამუშაოს მოცულობა და სავალდებულო აგროტექნიკური მოთხოვნები ხარისხის მხრივ: მოხვნის სიღრმე, თესვის ნორმები, თესლის ჩაფლვის სიღრმე და თვითეული სახის სამუშაოს შესრულების ვადა. მაგრამ ეს სამუშაო მეტად ნელა მიმდინარეობს.

დღემდე არ დამთავრებულა 1948 წელს დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით კოლმეურნეობებისა და მტს-ების ვალდებულებათა შესრულების შედეგების განხილვა კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა, ამიტომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა, რაც შეიძლება მალე დაამთავრონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ყველა მატერიალურ ტექნიკურ საშუალებათა მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის.

ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ, და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიონულ კომიტეტებს:

ა) მიიღონ ღონისძიებანი, რათა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი აუცილებლად დამთავრდეს დაწესებულ ვადებში, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას რემონტის მაღალი ხარისხი;

ბ) გააძლიერონ მტს-ებში ნავთის პროდუქტების შეზიდვა, რათა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე თვითეულ მტს-ში შეიქმნას საწვავისა და საცხები მასალის მარაგი იმ ოდენობით, რაც სავსებით დააკმაყოფილებს მათს საჭიროებას საგაზაფხულო თესვისათვის;

გ) უახლოეს დღეებში დაამთავრონ კოლმეურნეობებთან მტს-ების მიერ ხელშეკრულების დადება, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მათი დროზე განხილვა და რაიაღმასკომებში რეგისტრაცია. ხელშეკრულებათა და დამატებით შეთანხმებათა დადების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მტს-ებისა და კოლმეურნეობების ურთიერთვალდებულებათა სწორ განსაზღვრას თვითეული სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ხარისხისა და შესრულების ვადის მხრივ;

დ) გააუმჯობესონ მუშაობა მექანიზატორთა კადრების მომზადება-გადამზადების დარგში, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას, რომ თვითეულ მტს-ში აუცილებლად შესრულდეს ტრაქტორისტების, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირების, მიმბმელების, აღმრიცხველ-ჩამსხმელებისა და მექანიკოსების მომზადებისა და გადამზადების დაწესებული გეგმა. უახლოეს ხანში დამთავრდეს სატრაქტორო ბრიგადების დაკომპლექტება ტრაქტორისტებით, მიმბმელებით, საწვავის შემზიდავებით და სხვა მომსახურე [illegible];

ე) უზრუნველყონ მტს-ების 1949 წლის საწარმოო გეგმების, აგრეთვე სატრაქტორო ბრიგადების წლიურ დავალებათა დროზე შედგენა. სატრაქტორო ბრიგადების დავალებებში უნდა განისაზღვროს სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა ცალ-ცალკე გაზაფხულის, ზაფხულისა და ზაფხულ-შემოდგომის პერიოდებისათვის, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას ტრაქტორის გამომუშავების მაჩვენებლები პერიოდების მიხედვით, სატრაქტორო ბრიგადის თვითეული ტრაქტორისტის ცვლისა და საშუალო სადღეღამისო გამომუშავების ნორმები;

უზრუნველყონ სატრაქტორო ბრიგადები მოძრავი ნავთის ტარით, ჩასასხმელი ინვენტარით, აგრეთვე ინსტრუმენტებითა და სათადარიგო ნაწილებით ტრაქტორების ტექნიკური მოვლის განსახორციელებლად მინდვრის სამუშაოთა პერიოდში. დროზე მომზადებულ იქნას მოძრავი სარემონტო სახელოსნოები მინდვრად სატრაქტორო ბრიგადების ტექნიკური მომსახურებისათვის;

ვ) უზრუნველყონ დაწესებულ ვადაში საგაზაფხულო თესვისათვის მტს-ების მზადყოფნის შემოწმების აუცილებლად დამთავრება და ამისათვის სათანადო აქტების გაფორმება.

მრავალწლიანი ნარგავები

კოლმეურნეობათა წინაშე 1949 წელს დიდი ამოცანებია დასახული მრავალწლიანი ნარგავების ფართობის და მათი მოსავლიანობის შემდგომი გადიდების დარგში.

პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ მიმდინარე წლის სპეციფიკურ პირობებს, როცა ყინვებმა და დიდმა თოვლმა შესაძლებლობა არ მოგვცეს მთლიანად გამოგვეყენებინა ზამთრის თვეები ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში, ბაღებსა და ვენახებში საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოების შესასრულებლად, რის გამოც ეს სამუშაოები მნიშვნელოვნად ჩამორჩა.

ამის გათვალისწინებით საჭიროა საგაზაფხულო სამუშაოები ისე მოეწყოს, რომ ისინი მოკლე ვადაში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე დამთავრდეს. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას პლანტაციებში, ბაღებსა და ვენახებში ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1948-1949 წლების მკაცრმა ზამთარმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ციტრუსოვანთა ნარგავებს, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს მათში ავადმყოფობისა და მავნებლების განვითარებას, საჭიროა ჩატარდეს ნარგავების მთლიანი მკურნალობა ბორდოს სითხით, ცრუფარიანათი და ფარიანათი დაავადების კერებში კი — ზეთოვანი ემულსიის კონცენტრატით.

ჩაის პლანტაციებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საზამთრო ბარვას, ამავე დროს მინერალური სასუქების — სუპერფოსფატისა და კალიუმის ნარევის, აგრეთვე ორგანული სასუქების შეტანას.

ვენახებში და ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეებში დროზე ჩატარდეს საგაზაფხულო ხვნა ან მთლიანი ბარვა, გასხვლა და გაწმენდა და ორგანული სასუქების შეტანა.

ხეხილის ბაღებში ფართოდ გაჩაღდეს ორგანული სასუქების შეტანა, ხეებზე მავნებელთა ზამთრის ბუდეების მოშორება და დაწვა, ნიადაგის დამუშავება, გასხვლა და ხეების ზეთოვანი ემულსიითა და ძაღის ხსნარით შესხურება.

ამ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად საჭიროა დაჩქარდეს ყველა სამუშაო, რაც დაკავშირებულია ახალი ნარგავების გაშენების ღონისძიებებთან, რათა მთლიანად შესრულდეს ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების, აგრეთვე ვენახებისა და ხეხილის ბაღების საგაზაფხულო გაშენების სახელმწიფო გეგმები.

საბჭოთა მეურნეობების მზადება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის

1949 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობები უფრო ორგანიზებულად, ვიდრე შარშან, ემზადებიან საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის. ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა საბჭოთა მეურნეობებში შესრულებულია 97,2 პროცენტით. საგაზაფხულო თესვისათვის საწვავის შეტანა საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში მთლიანად შესრულებულია. საბჭოთა მეურნეობები მთლიანად უზრუნველყოფილი არიან მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების, აგრეთვე კარტოფილისა და ერთწლიანი ბალახების თესლით.

მაგრამ საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში მთლიანად არ არის გამოყოფილი მრავალწლიანი ბალახების თესლი: საჭიროა 435 ცენტნერი, აქვთ კი მხოლოდ 11 ცენტნერი თესლი.

მარცვლეული კულტურების გამოყოფილი თესლი მთლიანად გაწმენდილი და კონდიციურია.

საბჭოთა მეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება მინდვრებსა და პლანტაციებში ნაკელის შეტანა, აგრეთვე სოფლმომარაგების საწყობებიდან მინერალური სასუქების გატანა. საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში შეტანილია მხოლოდ 1.360 ტონა ორგანული სასუქი, გეგმა კი ითვალისწინებს 3.100 ტონის შეტანას, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში დამზადებულია მხოლოდ 1.500 ტონა ადგილობრივი სასუქი, გეგმით კი გათვალისწინებულია 4.505 ტონის დამზადება.

ზუგდიდის სადგურში გაუტანელი მინერალური სასუქების დიდი ნაშთები აქვს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებს: წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობას — 160 ტონა, ნარაზენისას — 360 ტონა, ხეცერისას — 495 ტონა. ასეთივე მდგომარეობაა ლაითურის, წულუკიძის, დიდი ჭყონის, ლესიჭინესა და მოქვის საბჭოთა მეურნეობებში.

დიდი თოვლის გამო მინდვრის სამუშაოები საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით ზამთრის სამუშაოები ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში ნელა მიმდინარეობს.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის საბჭოთა მეურნეობების დროზე და ყოველმხრივ მომზადების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს მეცხოველეობის ტრესტს:

ა) უახლოეს დღეებში დაამთავრონ ყველა ტრაქტორისა და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი;

ბ) ფართოდ გააჩაღონ მუშაობა საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო-საფინანსო გეგმების შესადგენად, რათა ეს მუშაობა უახლოეს დღეებში დამთავრდეს;

გ) მიიღონ გადამჭრელი ღონისძიებანი, რათა დაგროვებულ იქნას ადგილობრივი ორგანული სასუქები, აგრეთვე საქართველოს სოფლმომარაგების საწყობებიდან გამოტანილ იქნას საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილი მინერალური სასუქები და ამისათვის გამოყენებულ იქნას როგორც საბჭოთა მეურნეობების სატრანსპორტო საშუალებანი, ისე „ტექკულტტრანსის“ და სხვა ორგანიზაციების ავტოპარკი;

დ) უახლოეს დღეებში მოაწყონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის საბჭოთა მეურნეობების მზადყოფნის შემოწმება, საამისოდ შეადგინონ სათანადო აქტები და შემოწმების შედეგები განიხილონ საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საწარმოო-ტექნიკურ თათბირზე.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვენ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 9 თებერვალს გამოქვეყნებული დადგენილების შესრულების საფუძველზე, უზრუნველყონ უახლოეს დღეებში საგაზაფხულო თესვისათვის ყველა მოსამზადებელი სამუშაოს დამთავრება და კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დარაზმვა საგაზაფხულო თესვის წარმატებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების, ვენახების, ხეხილის ბაღებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების დამუშავებისათვის.

საქართველოს სსრ გორის რაიონის სოფელ ახრისის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ თესლბრუნვათა მინდვრებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების განაგების გეგმა და ძირითად აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა 1949 წლისათვის

დოფონებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით



ნათესების განაგება

მინდვრის თესლბრუნვაში

მინდვრების №№ ფართობის ჰექტ.	ბრიგადების №№ და მიმაგრებული ნაკვეთის ფართობი	წინამორბედები: რით იყო დაკავებული	ფართ. ჰექტ.	ნათესი 1949 წელს: კულტურების დასახელება	ფართ. ჰექტ.	მიღებულ იქნას მოსავალი ცენტნ.: 1 ჰექტარიდან	მთელ ფართობზე
I 24.01	ბრიგადა № 1-12.00 ბრიგადა № 2-12.01	საშემოდგომო ხორბალი მრავალწლიანი ბალახების მითესვით	12.00 12.01	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები	12.00 12.01	35.0 35.0	420.00 420.35
II 24.01	ბრიგადა № 1-12.00 ბრიგადა № 2-12.01	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები	12.00 12.01	მეორე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათესლედ	12.00 12.01	6.0 6.0	72.00 72.06
III 21.96	ბრიგადა № 1-10.98 ბრიგადა № 2-10.98	სიმინდი ლობიოს მითესვით	10.98 10.98	საგაზაფხულო მაგარი ხორბალი	10.98 10.98	14.0 14.0	153.72 153.72
IV 21.95	ბრიგადა № 1-10.97 ბრიგადა № 2-10.98	სიმინდი ლობიოს მითესვით	10.97 10.98	საშემოდგომო ხორბალი	10.97 10.98	14.0 14.0	153.58 153.72
V 24.34	ბრიგადა № 1-12.17 ბრიგადა № 2-12.17	საშემოდგომო ხორბალი	12.17 12.17	სიმინდი ლობიოს მითესვით	12.17 12.17	25.0 25.0	304.25 304.25
VI 24.34	ბრიგადა № 1-12.17 ბრიგადა № 2-12.17	სიმინდი ლობიოს მითესვით	12.17 12.17	საშემოდგომო ხორბალი	12.17 12.17	14.0 14.0	170.38 170.38
VII 22.57	ბრიგადა № 1-11.28 ბრიგადა № 2-11.29	საშემოდგომო ხორბალი	11.28 11.29	სიმინდი ლობიოს მითესვით	11.28 11.29	25.0 25.0	282.00 282.25
VIII 22.57	ბრიგადა № 1-11.28 ბრიგადა № 2-11.29	სიმინდი ლობიოს მითესვით	11.28 11.29	საშემოდგომო ხორბალი	11.28 11.29	14.0 14.0	157.92 158.06
IX 22.57	ბრიგადა № 1-11.28 ბრიგადა № 2-11.29	საშემოდგომო ხორბალი	11.28 11.29	სიმინდი ლობიოს მითესვით	11 28 11.29	25.0 25.0	282.0 282.25
X 24.01	ბრიგადა № 1-12.00 ბრიგადა № 2-12.01	სიმინდი ლობიოს მითესვით	12.00 12.01	საშემოდგომო ხორბალი-მრავალწლიანი ბალახების მითესვით	12.00 12.01	14.0 14.0	168.00 168.14

საკვებ თესლბრუნვაში

მინდვრების №№ ფართობი ჰექტ.	ბრიგადების №№ და მიმაგრებული ნაკვეთის ფართობი	წინამორბედები: რით იყო დაკავებული	ფართ. ჰექტ.	ნათესი 1949 წელს: კულტურების დასახელება	ფართ. ჰექტ.	მიღებულ იქნას მოსავალი ცენტნ.: 1 ჰექტარიდან	მთელ ფართობზე
I 8.55	ბრიგადა № 3-8.55	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათიოედ	8.55	მეორე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათესლეედ	8.55	6.0	51.30
II 8.54	ბრიგადა № 3-8.54	საშემოდგომო ჭერი მრავალწლიანი ბალახების მითესვით	8.54	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები	8.54	35.0	298.90
III 8.54	ბრიგადა № 3-8.54	საკვები ძირხვენები სიმინდი სასილოსედ	1.50 7.04	საშემოდგომო ჭერი მრავალწლიანი ბალახების მითესვით	8.54	14.0	119.56
IV 8.54	ბრიგადა № 3-8.54	საშემოდგომო ჭერი	8.54	შაქრის ჭარხალი	8.54	280.0	2.391.20
V 8.57	ბრიგადა № 3-8.57	სიმინდი ლობიოს მითესვით	8.57	საშემოდგომო ჭერი	8.57	14.0	119.98
VI 8.58	ბრიგადა № 3-8.58	საშემოდგომო ხორბალი	8.58	შაქრის ჭარხალი	8.58	280.0	2.402.40
VII 8.58	ბრიგადა № 3-8.58	სიმინდი ლობიოს მითესვით	8.58	საშემოდგომო ხორბალი	8.58	14.0	120.12
VIII 8.58	ბრიგადა № 3-8.58	საშემოდგომო ხორბალი	8.58	სიმინდი ლობიოს მითესვით	8.58	25.0	214.50

სახელმწიფო დავალება ნათესი ფართობების მიხედვით 1949 წლისათვის და მისი განაგება თესლბრუნვებში

კულტურების დასახელება	სახელმწიფო დავალება 1949 წლისათვის	სახელმწიფო დავალების განაგება: სულ	მათ შორის: მინდვრის თესლბრუნვებში	საკვებ თესლბრუნვებში	ადგილობრივ ბალახების ბოლოდ-ბოლო ბალახებ.
1. მარცვლეული კულტურები—სულ	301.46	301.46	184.31	34.27	82.88
მათ შორის საშემოდგომო	165.50	165.50	92.87	25.69	46.94
საგაზაფხულო ხორბალი	21.96	21.96	21.96	—	—
საგაზაფხულო ჭერი	—	—	—	—	—
სიმინდი	110.00	110.00	69.48	8.58	31.94
ლობიო	4.00	4.00	—	—	4.00
2. ტექნიკური კულტურები—სულ	20.00	20.00	—	17.12	2.88
შაქრის ჭარხალი	20.00	20.00	—	17.12	2.88
3. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და კარტოფილი	6.50	6.50	—	—	6.50
4. საკვები კულტურები—სულ	78.61	78.61	48.02	17.09	13.50
მათ შორის წარსული წლების მრავალწლიანი ბალახები	65.11	65.11	48.02	17.09	—
მიმდინარე წლის ნათესი მრავალწლიანი ბალახები	5.00	5.00	—	—	5.00
საკვები ძირხვენები	1.50	1.50	—	—	1.50
სასილოსე მცენარეები	7.00	7.00	—	—	7.00
5. სულ ნათესი	406.57	406.57	232.33	68.48	105.76
6. საშემოდგომო ნათესი 1949 წ.	118.56	118.56	92.87	25.69	—
7. მრავალწლიანი ბალახების მიმდინარე წლის საფარქვეშა ნათესი	32.55	32.55	24.01	8.54	—
მინდორსაცავი ტყის ზოლები (7.30)	0.50	0.50	0.50	—	—

ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი თესლბრუნვის მინდვრებში

მინდვრის თესლბრუნვა

მინდვრების №№	რით იქნება მინდორი დაკავებული 1949 წელს	ფართობი	ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი 1948 წელს	ფართობი	1949 წელს	ფართობი ჰექტ.
I	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათიოედ	24.01	1. გამარგვლა სამჯერ 2. მორწყვა 3. დაფარცხვა ერთ კვალად	24.01	1. ბალახების დამატებითი კვება ადრე გაზაფხულზე 2. გამარგვლა სამჯერ 3. მორწყვა ორჯერ 4. დაფარცხვა მოსავლის აღების შემდეგ	24.01
II	მეორე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათესლედ	24.01	1. გამარგვლა სამჯერ 2. მორწყვა ორჯერ 3. დაფარცხვა ერთ კვალად	24.01	1. დამატებითი კვება ადრე გაზაფხულზე 2. გამარგვლა სამჯერ 3. მორწყვა ორჯერ	24.01
III	საგაზაფხულო მაგარი ხორბალი	21.96	1. მზრალად მოხვნა წინასახნისიანი გუთნით 20—22 სანტიმეტრზე	21.96	1. დაფარცხვა ადრე გაზაფხულზე 2. საგაზაფხულო ხორბლის დათესვა მწკრივად სათესით 3. გამარგვლა სამჯერ	21.96
IV	საშემოდგომო ხორბალი	21.95	1. სიმინდის აღების შემდეგ წინასახნისიანი გუთნით მოხვნა 20—22 სანტიმეტრზე 2. დაფარცხვა 3. მწკრივად დათესვა. 4. მორწყვა	21.95	1. ჯეჯილის დაფარცხვა 2. გამარგვლა სამჯერ 3. მორწყვა 20/V-დან 10/VI-მდე	21.95
V	სიმინდი ლობიოს მითესვით	24.34	1. მზრალად მოხვნა წინასახნისიანი გუთნით 20—22 სანტიმეტრზე	24.34	1. დაფარცხვა ადრე გაზაფხულზე 2. თესვისწინა კულტივაცია 3. დათესვა მწკრივად სათესით 4. მორწყვა 5. აღმონაცენის დაფარცხვა 6. გათხნა სამჯერ 7. მორწყვა სამჯერ	24.34
VI	საშემოდგომო ხორბალი	24.34	1. სიმინდის აღების შემდეგ წინასახნისიანი გუთნით მოხვნა 20—22 სანტიმეტრზე 2. დაფარცხვა 3. საშემოდგომო ხორბლის დათესვა მწკრივად სათესით 4. მორწყვა	24.34	1. ჯეჯილის დაფარცხვა 2. გამარგვლა სამჯერ 3. მორწყვა 20/V-დან 10/VI-მდე	24.34
VII	სიმინდი ლობიოს მითესვით	22.57	1. მზრალად მოხვნა წინასახნისიანი გუთნით 20—22 სანტიმეტრზე	22.57	1. დაფარცხვა ადრე გაზაფხულზე 2. თესვისწინა კულტივაცია 3. დათესვა მწკრივად სათესით 4. მორწყვა 5. აღმონაცენის დაფარცხვა 6. გათხნა სამჯერ 7. მორწყვა სამჯერ	22.57
VIII	საშემოდგომო ხორბალი	22.57	1. სიმინდის აღების შემდეგ წინასახნისიანი გუთნით მოხვნა 20—22 სანტ. 2. დაფარცხვა 3. საშემოდგომო ხორბლის მწკრივად დათესვა 4. მორწყვა	22.57	1. ჯეჯილის დაფარცხვა 2 გამარგვლა სამჯერ 3. მორწყვა 20/V-დან 10/VI-მდე	22.57
IX	სიმინდი ლობიოს მითესვით	22.57	1. მზრალად მოხვნა წინასახნისიანი გუთნით 20—22 სანტიმეტრზე	22.57	1. დაფარცხვა ადრე გაზაფხულზე 2. თესვისწინა კულტივაცია 3. დათესვა მწკრივად სათესით 4. მორწყვა 5. აღმონაცენის დაფარცხვა 6. გათხნა სამჯერ	22.57
X	საშემოდგომო ხორბალი მრავალწლიანი ბალახების მითესვით	24.01	1. სიმინდის აღების შემდეგ წინასახნისიანი გუთნით მოხვნა 20—22 სანტ. 2. დაფარცხვა 3. საშემოდგომო ხორბლის მწკრივად დათესვა მრავალწლიანი ბალახების მითესვით. 4. მორწყვა	24.01	1. გამარგვლა სამჯერ 2. მორწყვა 20/V-დან 10/VI-მდე 3. ნარჩენებისაგან გაწმენდა თავთავიანი კულტ. მოსავლის აღების შემდეგ 4. მორწყვა 10—20 ივლისს 5. დაფარცხვა 12—22 ივლისს	24.01

საკვები თესლბრუნვა

მინდვრების №№	რით იქნება მინდორი დაკავებული 1949 წელს	ფართობი	ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი 1948 წელს	ფართობ.	1949 წელს	ფართობ. ჰექტ.
I	მეორე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათესლედ	8.55	1. გამარგვლა სამჯერ 2. მორწყვა ორჯერ 3. დაფარცხვა ერთ კვალად	8.55	1. დამატებითი კვება ადრე გაზაფხულზე 2. გამარგვლა სამჯერ 3. მორწყვა ორჯერ	8.55
II	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათიოედ	8.54	1. გამარგვლა სამჯერ 2. მორწყვა 3. დაფარცხვა ერთ კვალად	8.54	1. ბალახების დამატებითი კვება ადრე გაზაფხულზე 2. გამარგვლა სამჯერ 3. მორწყვა ორჯერ 4. დაფარცხვა მოსავლის აღების შემდეგ	8.54
III	საშემოდგომო ჭერი მრავალწლიანი ბალახების მითესვით	8.54	1. ძირხვენებისა და სასილოსე ნათესების აღების შემდეგ წინასახნისიანი გუთნით მოხვნა 20—22 სანტიმეტრზე 2. დაფარცხვა 3. მწკრივად სათესით დათესვა მრავალწლიანი ბალახების მითესვით 4. მორწყვა	8.54	1. გამარგვლა სამჯერ 2. მორწყვა 20/V-დან 10/VI-მდე 3. ნარჩენებისაგან გაწმენდა თავთავიანი კულტ. მოსავლის აღების შემდეგ 4. მორწყვა 10—20 ივლისს 5. დაფარცხვა 12—22 ივლისს	8.54
IV	შაქრის ჭარხალი	8.54	1. ნაწვერალის აოშვა 4—5 სანტიმეტრზე 2. ორგანული სასუქის შეტანა ჰექტარზე 20 ტონის და მინერალური სასუქისა ჰექტარზე 5 ცენტნერის რაოდენობით 3. წინასახნისიანი გუთნით მოხვნა 25—27 სანტიმეტრზე	8.54	1. დაფარცხვა ადრე გაზაფხულზე 2. კულტივაცია 3. მწკრივად დათესვა მინერალური სასუქის შეტანით 4. გაფხვიერება შვიდჯერ 5. მორწყვა შვიდჯერ 6. დამატებითი კვება სამჯერ	8.54
V	საშემოდგომო ჭერი	8.57	1. სიმინდის აღების შემდეგ წინასახნისიანი გუთნით მოხვნა 20—22 სანტიმეტრზე 2. დაფარცხვა 3. დათესვა მწკრივად სათესით 4. მორწყვა	8.57	1. ჯეჯილის დაფარცხვა 2. გამარგვლა სამჯერ 3. მორწყვა 20/V-დან 10/VI-მდე	8.57
VI	შაქრის ჭარხალი	8.58	1. ნაწვერალის აოშვა 4—5 სანტიმეტრზე 2. ორგანული სასუქის შეტანა ჰექტარზე 20 ტონის და მინერალური სასუქისა ჰექტარზე 5 ცენტნერის რაოდენობით 3. წინასახნისიანი გუთნით მოხვნა 25—27 სანტიმეტრზე	8.58	1. დაფარცხვა ადრე გაზაფხულზე 2. კულტივაცია 3. მწკრივად დათესვა მინერალური სასუქის შეტანით 4. გაფხვიერება შვიდჯერ 5. მორწყვა შვიდჯერ 6. დამატებითი კვება სამჯერ	8.58
VII	საშემოდგომო ხორბალი	8.58	1. სიმინდის აღების შემდეგ წინასახნისიანი გუთნით მოხვნა 20—22 სანტიმეტრზე 2. დაფარცხვა 3. მწკრივად დათესვა 4 მორწყვა	8.58	1. ჯეჯილის დაფარცხვა 2. გამარგვლა სამჯერ 3. მორწყვა 20/V-დან 10/VI-მდე	8.58
VIII	სიმინდი ლობიოს მითესვით	8.58	1. მზრალად მოხვნა წინასახნისიანი გუთნით 20—22 სანტიმეტრზე	8.58	1. დაფარცხვა ადრე გაზაფხულზე 2. თესვისწინა კულტივაცია 3. დათესვა მწკრივად სათესით 4. მორწყვა 5. აღმონაცენის დაფარცხვა 6. გათხნა სამჯერ 7. მორწყვა სამჯერ	8.58

კოლმეურნეობის გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე ჯიშიანი თესლის თესვა, თესლის შეკამლეა, მწკრივად სათესი მანქანებით თესვა ხაოკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, ნათესების მოვლა, ნაწვერალის აოშვა და მზრალად ხვნა წინასახნისიანი გუთნებით და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ უხვი მოსავლის მიღებას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დავალებანი და აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა ეცნობა თვითეულ რგოლს.

„კალევალის" 100 წლისთავისათვის

თებერვალში 100 წელი სრულდება კარელია-ფინელი ხალხის ეპოსის „კალევალის" შექმნიდან. იგი მსოფლიო კულტურის საგანძურში შევიდა, როგორც პოეზიის უკვდავი ძეგლი.

საბჭოთა კავშირის ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოებრიობა ემზადება, რათა ფართოდ აღნიშნოს „კალევალის" 100 წლისთავი. ღირსშესანიშნავ იუბილეს მიეძღვნება საზეიმო სხდომა მოსკოვში; სხდომას აწყობენ საბჭოთა მწერლების კავშირი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოება აწყობს მწერალ მარიეტა შაგინიანის საჯარო ლექციას „კალევალა"—კარელიურ-ფინური ეპოსი".

ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა იუბილესათვის ამზადებს შესანიშნავი ეპოსის ახალ გამოცემას რუსულ ენაზე.

საიუბილეო ზეიმი შედგება კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში. ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლები. მოსკოვიდან პეტროზავოდსკში გაემგზავრება მწერალთა და მეცნიერთა დელეგაცია. (საქტესი).

სსრ კავშირი გამოვიდა ჯანმრთელობის დაცვის ქენევის ორგანიზაციიდან

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ამხ. ნ. ა. ვინოგრადოვმა განაცხადა, რომ სსრ კავშირი გამოვიდა ეგრეთწოდებული ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საბჭოთა სამედიცინო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, — განაცხადა ამხ. ვინოგრადოვმა—ვერ აკმაყოფილებდა ხსენებული ორგანიზაციის საქმიანობა. ამ საქმიანობის მიმართულება არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც ხსენებულ ორგანიზაციას დაუსახა 1946 წელს შემდგარმა დამფუძნებელმა კონფერენციამ. ავადმყოფობათა თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე სამედიცინო მეცნიერების მიღწევათა გავრცელებისათვის საჭირო საერთაშორისო ღონისძიებათა დარგში დასახულ ამოცანებს ორგანიზაცია სრულიად არადამაკმაყოფილებლად ასრულებს, ამასთან მისი გაბერილი ადმინისტრაციული აპარატის შენახვა დაკავშირებულია ამ ორგანიზაციის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოთა უზომოდ დიდ ხარჯებთან. საკმარისია ითქვას, რომ თუ სსრ კავშირი ჯანმრთელობის დაცვის ქენევის ორგანიზაციაში დარჩებოდა, მას მარტო 1949 წელს 400 ათასამდე დოლარი უნდა გადაეხადა სხვადასხვა ინგლისელ და ამერიკელ მოხელეთა შესანახავად, რომელთაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის.

აღნიშნული ორგანიზაციის შემადგენლობიდან გამოვიდნენ აგრეთვე უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ. (საქტესი).

მთვარის დაბნელება 1949 წელს

ლენინგრადი, 18 თებერვალი. (საქტესი). ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებულმა ასტრონომიულმა სამეცნიერო-საკვლევმა ობსერვატორიამ დაიწყო მზადება მთვარის სრული დაბნელების დაკვირვებისათვის, რაც მოხდება ამა წლის 13 აპრილსა და 7 ოქტომბერს.

— მთვარის სრული დაბნელება,—განაცხადა საქტესის კორესპონდენტთან საუბარში ობსერვატორიის ფოტომეტრული ლაბორატორიის ხელმძღვანელმა პროფესორმა ვ. ვ შარონოვმა, —დიდ ინტერესს წარმოადგენს. იგი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ატმოსფეროს ყველაზე მაღალი ფენების აღნაგობის შესახებ.

ლენინგრადელ ასტრონომებს მთვარისა და მზის დაბნელების დაკვირვების მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ. 13 აპრილს ჩვენ მოვახდენთ მთვარის ფოტომეტრიულ დაკვირვებას.

ამ მიზნით მზადდება უნივერსიტეტის ობსერვატორიაში კონსტრუირებული ახალი ხელსაწყო. მთვარის სრული დაბნელების შესასწავლად გამოყოფილია მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა ჯგუფი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ხელს უშლიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კავშირი დაამყაროს მასობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი. (საქტესი). 16 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-8 სესიის სხდომები მიეძღვნა არასამთავრობო ორგანიზაციათა კომიტეტის მოხსენების განხილვას. საბჭოს უნდა განეხილა საკითხი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებისათვის შესაძლებლობის მინიჭების შესახებ გამოსულიყვნენ საბჭოს სხდომაზე ამ კომიტეტის მოხსენების გამო, აგრეთვე პროექტები რეზოლუციებისა მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო სტატუტის მინიჭების შესახებ.

ამ საკითხების განხილვის დროს გამომჟღავნდა ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნებისა და, პირველ რიგში, შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა მისწრაფება—ხელი შეუშალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მასობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებაში და ამავე დროს ასეთი კავშირი გაუადვილონ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ფრანკისტულ ესპანეთთან.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც რჩევას იძლევა — უარი უთხრან პროფკავშირთა მსოფლიო გაერთიანებას ზემოაღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საბჭოთა დელეგაციის წევრი მოროზოვი გამოვიდა ამ რეზოლუციის გამო და წინადადება შეიტანა—დააკმაყოფილონ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თხოვნა. მან აღნიშნა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ერთადერთი მსოფლიო პროფკავშირული ორგანიზაციაა, რომელიც ათობით მილიონ მშრომელს აერთიანებს.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ბელორუსიის სსრ და პოლონეთის წარმომადგენლებმა.

ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლებმა ამჯობინეს არ ჩარეულიყვნენ არსებითად წინადადების შესახებ დისკუსიაში და უმალვე გამოიყენეს მექანიკური კენჭისყრის მათთვის საყვარელი მეთოდი. კენჭისყრის შედეგად სსრ კავშირის წინადადება უარყოფილ იქნა 12 ხმის უმეტესობით სამის წინააღმდეგ (სსრ კავშირი, ბელორუსიის სსრ და პოლონეთი), ორმა თავი შეიკავა.

ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები მფარველობას უწევენ ფრანკისტულ ორგანიზაციას

შემდეგ საბჭო გადავიდა მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო სტატუტის მინიჭების საკითხის განხილვაზე. თავის დროს პლენარულ სხდომაზე და კომიტეტში ამ საკითხის განხილვისას საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ იმ ორგანიზაციათა შორის, რომლებისათვისაც საკონსულტაციო სტატუტის მინიჭება სურთ, არიან ესპანეთში ფრანკისტულ რეჟიმთან დაკავშირებული ორგანიზაციები. კერძოდ, საბჭოთა დელეგაციის წევრმა მოროზოვმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია „პაქს რომანას" ხელმძღვანელობაში არიან ფრანკისტული რეჟიმის წარმომადგენლები და რომ თავის დროზე ამ ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იტალიისა და გერმანიის ფაშიზმის წარმომადგენლები. „პაქს რომანას" მე-19 კონგრესი 1946 წლის ზაფხულში მოხდა სალამანკაში (ესპანეთი) და მის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ფრანკისტული მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

მაგრამ საბჭო დაკმაყოფილდა კომიტეტის წარმომადგენელთა ლიტონი განცხადებით ამ ორგანიზაციების შემადგენლობიდან კოლაბორაციონისტების „გარიცხვის" შესახებ და ხმის უმეტესობით მიიღო გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო სტატუტის მინიჭების შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კომიტეტმა საბჭოს ურჩია საკონსულტაციო სტატუტის მინიჭებაზე უარი უთხრას ფაშიზმის ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა საერთაშორისო ფედერაციას.

კომიტეტის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი, რომელმაც წინადადება შეიტანა—გააუქმდეს კომიტეტის წინადადება და ამ ორგანიზაციას მიენიჭოს საკონსულტაციო სტატუტი. მან აღნიშნა, რომ ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს არ შეუძლია კავშირი არ დაამყაროს იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ნამდვილად დემოკრატიული მასობრივი ორგანიზაციაა და მილიონობით ადამიანს აერთიანებს. ამ ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ და მთლიანად შეეფერება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს.

მაგრამ შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა მოითხოვეს შემდგომი დისკუსიის გაუმართავად გადასულიყვნენ კენჭისყრაზე.

პოლონეთის წარმომადგენელი კაც-სუხი მიემხრო საბჭოთა წარმომადგენლის წინადადებას. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ფაშიზმის ყოფილ პატიმართა ორგანიზაციის კავშირის საჭიროების უგულებელყოფა ომის დამთავრების მხოლოდ სამი წლის შემდეგ მეტად დამახასიათებელია. იგი იწვევს სერიოზულ დაეჭვებას იმ მოტივებში, რომლებითაც ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ.

ინგლისისა და შეერთებული შტატების პოზიციამ ფაშიზმის ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა საერთაშორისო ფედერაციის მიმართ მთელი რიგი იმ დელეგატების გაკვირვებაც კი გამოიწვია, რომლებიც ჩვეულებრივ მორჩილად მიჰყვებიან ინგლის-ამერიკის წარმომადგენლებს

ამ საკითხის კენჭისყრისას მხოლოდ 9 დელეგატმა მისცა ხმა საბჭოთა კავშირის წინადადების წინააღმდეგ. ექვსი ქვეყნის (საფრანგეთის, დანიის, ინდოეთის, ლიბანის, ვენეცუელისა და ბრაზილიის) დელეგატებმა თავი შეიკავეს. სსრ კავშირის, ბელორუსიის სსრ და პოლონეთის წარმომადგენლებმა ხმა მისცეს საბჭოთა წინადადებას.

ასეთივე პოზიცია დაიკავეს შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა იმ წინადადების მიმართ, რომელიც საბჭოთა წარმომადგენელმა შეიტანა, რათა „ა" კატეგორიის საკონსულტაციო სტატუტი მინიჭებოდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას.

საბჭოთა წარმომადგენელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია გამოხატავს 56 ქვეყნის 80 მილიონი ქალის ინტერესებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციისათვის „ა" კატეგორიის სტატუტის მინიჭება მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს აგრეთვე თვით ეკონომიური და სოციალური საბჭოს მუშაობას. სამი საათის დისკუსიის შემდეგ საბჭოთა დელეგაციის წინადადება ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისათვის საკონსულტაციო სტატუტის მინიჭების შესახებ უარყოფილ იქნა 13 ხმით 3 ხმის წინააღმდეგ (სსრ კავშირი, ბელორუსიის სსრ და პოლონეთი), ორმა თავი შეიკავა.

მოწოდება ფრანგი ინტელიგენციისადმი

პარიზი, 17 თებერვალი. (საქტესი). საფრანგეთის კულტურის მუშაკთა დროებითმა ეროვნულმა კომიტეტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა ფრანგ ინტელიგენციას:

1948 წლის აგვისტოში საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც ვროცლავში შეიკრიბა და გააერთიანა 45 ქვეყნის ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები, განურჩევლად პოლიტიკური კუთვნილებისა და მიმართულებისა, თავის რეზოლუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 337 ხმით, როცა ხმას აძლევდა 357 კაცი (ამასთან საფრანგეთის დელეგაციამ ერთსულოვნად მისცა ხმა ამ რეზოლუციას), აღნიშნა, რომ „ყველა ქვეყნის ხალხთა ნებისა და სურვილის წინააღმდეგ ერთი მუჭა ანგარებისმოყვარე ადამიანები ამერიკასა და ევროპაში, რომლებმაც ფაშიზმისაგან მემკვიდრეობად მიიღეს მისი იდეები რასობრივი უპირატესობისა და პროგრესის უარყოფისა, შეითვისეს მისი მისწრაფებანი იარაღის ძალით გადაჭრას ყველა საკითხი, კვლავ ხელყოფენ მსოფლიოს ხალხთა სულიერ სამკვიდროს".

საფრანგეთის დელეგაციამ აზრთა სრული ერთიანობა შეინარჩუნა პარიზს დაბრუნების შემდეგაც. საფრანგეთის დელეგაციამ აღნიშნა, რომ მოვლენები ადასტურებენ ზემოთ მოყვანილ მტკიცებათა საფუძვლიანობას და 13 ოქტომბერს გადაწყვეტილება მიიღო „ნაყოფიერი მოლაპარაკების ბაზად" მიიჩნიოს წინადადებანი საბჭოთა დელეგაციისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელთა მიზანია განიარაღება, ომის პროპაგანდის შეწყვეტა და ატომური იარაღის აკრძალვა.

მას შემდეგ „ერთი მუჭა ანგარებისმოყვარე ადამიანების" აგრესიულობა ისე გაძლიერდა, რომ ამის შედეგად ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის საფრანგეთი, ჩათრეული აღმოჩნდა ახალი კონფლიქტის მომზადებაში. ეს მომზადება, რომელმაც უკვე გამოიწვია სიმდიდრისა და ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა, საფრთხეს უქმნის ჩვენს დამოუკიდებლობას, აფერხებს ჩვენს შემოქმედებითს მუშაობას, ჩვენს აყვავებას.

სამხედრო ხარჯები, რასაც ვერაფერი გაამართლებს, ამავე დროს ნთქამს ჩვენი აღმავლობისათვის საჭირო სახსრებს და განათლებისათვის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებისათვის განკუთვნილ კრედიტებს.

დისკრიმინაციული ღონისძიებანი ზღუდავენ ხელოვნების მოღვაწეთა უფლებას შექმნან ნაწარმოებნი მშვიდობის სასარგებლოდ უცხოეთის ჩარევა საეჭვოს ხდის ჩვენი მეცნიერული ძიების თავისუფლებას. ხელყოფენ საფრანგეთის უშიშროებასა და ღირსებას, რაც ხელს უწყობს ომის გამჩაღებელთა და ფილოსოფიკატორთა პროპაგანდას, ავრცელებენ ფსიქოზს, რომლის მიზანია შეშფოთება შეიტანოს მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში და განაიარაღოს ისინი.

აი ამიტომ დროებითმა ეროვნულმა კომიტეტმა, რომელიც ერთგულად ასრულებს ვროცლავში ერთსულოვნად მიღებულ ვალდებულებებს, გადაწყვიტა მოწოდებით მიმართოს საფრანგეთის მთელ ინტელიგენციას (მეცნიერებს, მწერლებს, მხატვრებს, მასწავლებლებს, ინჟინრებს, ექიმებს, იურისტებს, სტუდენტებსა და სხვ.) შეიკრიბონ 1949 წლის 12 და 13 აპრილს კულტურისა და მშვიდობის დაცვის ეროვნულ ყრილობაზე.

დროებითი ეროვნული კომიტეტი აცხადებს, რომ ომის საფრთხე შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას ხალხთა განუწყვეტლივ მზარდი სიმტკიცით და რომ ყველგან, აგრეთვე ჩვენში, საფრანგეთშიც, ძლიერდება საფრთხის შეგნება და ცივილიზაციის დაცვის სურვილი.

საფრანგეთის ინტელიგენციამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს შეგნების გაღვიძების საქმეში და იმ ბრძოლის საქმეში, რომელიც მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის უნდა გაჩაღდეს.

მართლაც, ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ჯაჭვის სისტემის ყველაზე მგრძნობიარე პუნქტში მდებარეობს, უნდა გამოიჩინოს წინდახედულობა, საბრძოლო სიფხიზლე და შეგნება თავისი პასუხისმგებლობისა ეროვნულ და საერთაშორისო გეგმებში, რათა საზოგადოებრივი აზრის წინაშე ამხილოს ტენდენციური ცნობები.

გარკვეცბული და განუყოფელი ზრუნვა განსაზღვრავს ამოცანებს, რომლებსაც დროებითი ეროვნული კომიტეტი წარადგენს ყრილობის განსახილველად:

1. მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა

ომს შეიძლება დავაღწიოთ თავი. ხალხებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა ითანამშრომლონ მშვიდობიანად, განურჩევლად რასისა და მათს ქვეყანაში არსებული ეკონომიური და სოციალური წყობილებისა.

ამისათვის ისინი მოვალენი არიან მიაღწიონ ცალკეული ხალხების დამოუკიდებლობისა და ეროვნულ თავისებურებათა ურთიერთპატივისცემას.

მათ შეუძლიათ და კიდევაც უნდა განამტკიცონ საერთაშორისო ურთიერთობა, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს.

2. კულტურის დაცვა

უზრუნველყოფილ უნდა იქნას კულტურის განვითარება: ძიების თავისუფლება, ნაწარმოებთა, აღმოჩენათა და გამოგონებათა თავისუფალი გამოთქმა და გავრცელება.

რადგან ინტელიგენცია ვერ მოსწყდება ერის დანარჩენ ნაწილს, ყრილობის მოვალეობაა განსაზღვროს და მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ დიადი საქმის გამარჯვებას. დაუყოვნებლივ უნდა მოიღოს ბოლო საიდუმლოებას, რომლითაც მოცულია ატომური გამოგონებანი, და ამ გამოგონებებით შანტაჟს ბოლო უნდა მოეღოს დანგრევის მიზნებისათვის მეცნიერების გამოყენებას.

ყრილობის მომზადებისათვის ეროვნული კომიტეტი დღეს მოუწოდებს საფრანგეთის ყველა ქალაქის გონებრივი შრომის ყველა მუშაკს მოაწყონ ადგილობრივ ყრილობა ამ საკითხთა განსახილველად და ადგილობრივ კომიტეტთა შესაქმნელად (იქ, სადაც ეს ჯერ არ არსებობს) და პარიზის ყრილობის დელეგატთა ასარჩევად.

მოწოდებას ხელს აწერენ: მწერალი ლუი არაგონი, ფრანგული პრესის ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარე ალბერ ბაიე, აბატი ბულიე, ჟან კასუ, სორბონის პროფესორი ანდრე შოლე, ქ-ნი ეჟენი კოტონი, მწერალ-ჟურნალისტი პიერ დებრე, მწერალი პოლ ელუარი, ივ ფარჟი, მხატვარი ანდრე ფუჟერონი, მწერალი ჟან ფრევილი, ფრედერიკ ჟოლიო კიური, მწერალი ლუი მარტენ-შოფიე, მხატვარი პიკასო, მწერალი ვერკორი და სხვ.

მუსიკალური კულტურის უნივერსიტეტი

თბილისის ოფიცერთა სახლში გაიხსნა მუსიკალური კულტურის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში სწავლობენ ოფიცრები და მათი ოჯახის წევრები. მუსიკალური კულტურის საკითხებზე ლექციებს კითხულობენ საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის მუშაკები და მუსიკალური სასწავლებლების პედაგოგები.

ლექციების საილუსტრაციო კონცერტში მონაწილეობას იღებენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტები და კონსერვატორიის უფროსი კლასის სტუდენტები.

უკვე მოეწყო 3 ლექცია-კონცერტი.

ა. ს. პუშკინის ნაწარმოებნი ოსურ ენაზე

სტალინირი. (საქ. კორ.). დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა ოსურ ენაზე ცალკე წიგნად უშვებს გენიალური პოეტის ნაწარმოებთ.

წიგნში შევა „ბრინჯაოს მხედარი", თარგმანი პოეტ გაფეზისა, „პოლტავა", თარგმანი გ. ძუგაევისა და ახალგაზრდა პოეტის ნ. ჯუსოვის თარგმნილი ლირიკული ლექსები.

წიგნი უახლოეს ხანში გამოვა.

ასპირანტთა საქალაქო სამეცნიერო კონფერენცია

21 თებერვალს დაიწყება თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა პირველი საქალაქო სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციის პლენარული სხდომები შედგება 21 და 23 თებერვალს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8), საღამოს 8 საათზე. კონფერენციის შემდეგი სხდომები მოეწყობა სექციების მიხედვით, იმუშავებენ ტექნიკურ მეცნიერებათა, ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა, ფილოლოგიის, ისტორიისა და ფილოსოფიის, სოფლის მეურნეობის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექციები.

ნატო გაბუნია-ცაგარელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

დღეს, 20 თებერვალს საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა მართავენ ქართული თეატრის ცნობილი მსახიობის ნატო გაბუნია-ცაგარელის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს.

მოხსენებას თემაზე: „ნატო გაბუნია-ცაგარელის ცხოვრება და შემოქმედება" წაიკითხავს ა. ბურთიკაშვილი.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვლენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტები შალვა დადიანი და ა. წუწუნავა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. გვარაძე და ზ. გომელაური, აგრეთვე ს. გერსამია, ი. იმედაშვილი და დ. ჯანელიძე.

ფოიეში საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ მოეწყობა ნატო გაბუნია-ცაგარელისადმი მიძღვნილი გამოფენა.

შიო მღვიმელის ხსოვნის საღამო

ორშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 8 საათზე მწერალთა კლუბში შედგება შიო მღვიმელის გარდაცვალების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენებებს თემაზე: „შიო მღვიმელის ცხოვრება და შემოქმედება" წაიკითხავენ—ი. გრიშაშვილი და ე. ქარელიშვილი.

სიტყვებით, მოგონებებითა და პოეტისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვლენ გ. ქუჩიშვილი (?)... ლებანიძე, ნ. ნაკაშიძე, ი. სიხარულიძე, ქ. ჭუჩუკაშვილი, ა. ხახუტაშვილი და სხვ.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები წაიკითხავენ შიო მღვიმელის ლექსებს. დასასრულ გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მუსიკალური ათწლედის მოსწავლეები.

საქართველოს ჭადრაკის ჩემპიონატი

მეათე ტური

ამ ტურში გათამაშებული ექვსი პარტიიდან დამთავრდა ხუთი. გიორგაძემ სუსტად გაითამაშა დებიუტი, და დამარცხა სოროკინმა. ფირცხალავამ კატალონურ პარტიაში ჯაკობიას წინააღმდეგ კარგად გამოიყენა დებიუტით მიღებული პოზიციური უპირატესობა, მოიგო ჯერ ხარისხი შემდეგ პაიკი და მალე პარტიაც. ქართველიშვილი ასოვსკისთან პასიური თამაშის შედეგად დაკარგა ინიციატივა და დამარცხდა. ებრალიძემ კარგად ისარგებლა გერშკოვიჩის მიერ დებიუტში დაშვებული შეცდომით და მოიგო ორი პაიკი, ხოლო შემდეგში, ენერგიული თამაშით დაშიმათა კიდევაც მოწინააღმდეგის მეფე. ორმხრივ ცაიტნოტში მალაშხია და თურქესტანიშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გადადებული პარტიების გათამაშება

გადადებული პარტიების დამთავრებისას ორჯერ დამარცხდა სოროკინი; პარტიაში ასოვსკისთან, მას ზედმეტი ხარისხი ჰქონდა, ცაიტნოტში დაუშვა უხეში შეცდომა, ხოლო პარტიაში შიშოვთან ამაოდ ცდილობდა ყაიმისათვის მიეღწია. ბლაგიძე-ბუსლაევის პარტიაში ამ უკანასკნელმა საშუალება მისცა ბლაგიძეს გადაერჩინა წაგებული ენდშპილი. პარტია ყაიმით დამთავრდა.

გათამაშდა აგრეთვე წინა ტურებში გამოტოვებული ორი პარტია. ფირცხალავამ პარტიაში გიორგაძესთან კარგად გაითამაშა ლაზიერის პაიკთა დებიუტი, ხელთ იგდო ინიციატივა და ენერგიული თამაშით გამარჯვებას მიაღწია. ფილავანდიშვილ-ქარსელაძის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, ათი ტურის შემდეგ წინ არიან: ფირცხალავა 8½ (ათი შესაძლებლიდან), ბლაგიძე 7½ (ათიდან), შიშოვი 6 (ცხრიდან) და ებრალიძე 5½ (რვიდან).

დღეს შედგება ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური.

მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოშვება

ორშაბათს, 21 თებერვალს, ხელოვნების მუშაკთა სახლში შედგება საზეიმო საღამო, მიძღვნილი მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ფილიალის მიერ საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პირველი გამოშვებისადმი.

უნივერსიტეტი დაამთავრა 67 მსმენელმა. მათ შორის არიან მსახიობები, მუსიკოსები, კინომუშაკები, მხატვრები, არქიტექტორები და რადიოკომიტეტის მუშაკები.

მხატვართა კლუბში

დღეს, 20 თებერვალს, საღამოს 8 საათზე მხატვართა კლუბში (ფურცელაძის ქუჩა № 2) საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობა და პარტორგანიზაცია იწვევენ თათბირს. თემაზე „პრავდის" 28 იანვრის სარედაქციო წერილის „თეატრალური კრიტიკოსების ერთი ანტიპატრიოტული ჯგუფის შესახებ" მოხსენებას გააკეთებს ამხ. მ. დუდუჩავა.

მენდელეევის საზოგადოებაში

კვირას 1949 წ. 20 თებერვალს, დღის 1 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ კორპუსში შედგება მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება.

დღის წესრიგშია მოხსენებები: ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ დ. ი. ერისთავისა —წყალტუბოს მინერალური წყლების იზოტოპური შემადგენლობა (მძიმე წყლის განსაზღვრა), ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ვ. თ. ჩაგუნავასი—შრომა ინფრაწითელი სხივებით.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარკკაბინეტში

21 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შედგება ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა სემინარი თემაზე: „სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ".

ლექტორი დოცენტი ვ. მელქაძე.

21 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შედგება პროფესორ ი. ცინცაძის კონსულტაცია საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკის და იურიდიულ ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 2 მარტს, დღის 1 საათზე, სააქტო დარბაზში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ლუარსაბ ანდრიას-ძე კარბელაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ქართლის სოფელი".

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, დოქტორი ფ. გოგიჩაიშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, დოქტორი გ. გეხტმანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, დოქტორი ნ. ქოიავა, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი კ. გრიგოლია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ

ა) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 4 მარტს, დღის 3 საათზე, აუდიტორია № 120 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1). გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნიკოლოზ გიორგის-ძე ხიმშიაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ზემო რაჭის ზედა იურული ნალექების ფაუნა და სტრატიგრაფია".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი-დოქტორი ი. კახაძე, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი ა. ცაგარელი.

ბ) ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 9 მარტს, დღის 2 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნადეჟდა მელიტონის ასული ჯანგველაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „პედაგოგიური განათლება საქართველოში (1850-1881 წ. წ.)".

ოფიციალური ოპონენტები პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი დ. ლორთქიფანიძე, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი ტ. ხუნდაძე.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 4 მარტს, საღამოს 8 საათზე დიდ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34/36) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **ნიკოლოზ გრამიტონის-ძე მოწონელიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Изучение сухой перегонки ткибульских горючих сланцев с выработкой коксового остатка для использования в металлургии кремнеалюминиевых сплавов".

ოფიციალური ოპონენტები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გოგუაძე, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ცისკარიშვილი.

სადისერტაციო შრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 20-II დღისით „გედის ტბა", საღამოს პეტრე ამირანაშვილის შემოქმედებითი საღამო;

რუსთაველის სახელობის — 20-II დღისით „პირველი ნაბიჯი", საღამოს „ღალატი" (8 სერ. 6 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის—20-II დღისით „ნინოშვილის გურია", საღამოს „მოძღვარი" (აბონემენტის გარეშე);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 20-II დღისით „არშინ მალ-ალან", საღამოს „ნათელა" (აბ. გარეშე).

მე-5 შესატანის გადახდა ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

შვილები გრიშა, ოლია, რძალი გოგონა ოჯახით და სიძე გიორგი იუწყებიან მარიამ (მატრონე) იოსების ასულ კოღუაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-II, 7 ს. გამოსვენება 22-II, 5 ს. წილკანის, 4.

მ. ალექსიშვილი, დ. კალანდაძე, ზ. სირაძე, ქ. გიორგობიანი, გ. ხატიაშვილი, ი. ნანავა, ბ. სიხარულიძე, ი. ყაჭიური, შ. ხარაზიშვილი, ს. გაჩეჩილაძე თანაგრძნობას უცხადებენ ვ მირიანაშვილს მისი დედის ბაბეს გარდაცვალების გამო.

ძმები ლუარსაბ, თეოფილე ოჯახებით, კარპე, დები ეკატერინე და ნინო ოჯახებით იუწყებიან ვარლამ გიორგის-ძე ჭირაქაძის გარდაცვალებას.

გ. სეხნიაშვილი, ა. უთიაშვილი, ს. სილაგაძე, ა. ბათიაშვილი, ვ. ჭელიძე, გ. ყაზახაშვილი, შ. ნიბლაძე, ი. ხაჩიძე, ა. კირვალიძე, შ. ტერტერაშვილი, გ. კირვალიძე, ს. კალაიშვილი, ი. ყარაულაშვილი იუწყებიან კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ალექსი დიმიტრის-ძე ბრაგვაძის გარდაცვალებას.

პელო, კოტე, ლადიკო, სოსიკო, ოლია და მარო საყვარელიძეები ოჯახებით იუწყებიან მაზლის და ბიძის იაკინთე ასლანის-ძე საყვარელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-II 5 ს. სოფ. ზედა საქარაში (ზესტაფონის რაიონი).

დედა მარიამ, მამიდა ელო ანდრონიკაშვილები, და ხახე ყუბანეიშვილი შვილებით თიმურაზით და მარინეთი, მარო და ტასო ციციშვილები იუწყებიან, რომ 20-II, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ილია ზაქარიას-ძე ანდრონიკაშვილის პანაშვიდი.

მეუღლე ნინო, შვილები გიგლა და არჩილ, რძალი ნანა იუწყებიან ვარლამ გიორგის-ძე ჭირაქაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-II, 7½ ს. გამოსვენება 22-II, 5 ს. ლენინის, 24.

მეუღლე ვარა, შვილი გერმანე, ძმა ვასო ცოლშვილით იუწყებიან გიორგი ვახილის-ძე კოჩიაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-II, 7 ს. გამოსვენება 22-II, 5 ს. ი. ჭავჭავაძის, 16.

ძმა ეზეკი მეუღლით მაშოთი, დები ფატი, პისტი, ვალენტინა, ლუბა ოჯახებით, ტარიელ, დავით, იურა ოჯახებით, რძალი ნატა იუწყებიან ჭიჭიკო ივანეს-ძე გურგენიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-II ს. შომანოურში (ჩოხატაურის რაიონი).

მშრომელთა დეპუტატების კურდღელაურის სასოფლო საბჭო იუწყება სასოფლო საბჭოს დეპუტატის, 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ალექსი დიმიტრის-ძე ბრაგვაძის გარდაცვალებას.

მეუღლე ოლიფანტე, შვილები გრიშა, ვასილ, ცუცა და ნოდარ, რძლები დოდო და ალექსანდრა შვილებით ლუიზა და რამაზით როხვაძეები, ძმები მიხეილ, ალექსანდრე და კონსტანტინე, და ნადია, სიძე ამბერკ რამიშვილი ოჯახებით იუწყებიან ვერა ერმილეს ასულ ნიკოლაიშვილი-როხვაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II ვანში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან ა. ჭირაქაძის მამის ვარლამ გიორგის-ძე ჭირაქაძის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ა. ჭირაქაძის მამის ვარლამ გიორგის-ძე ჭირაქაძის გარდაცვალებას.

ბ. თოდრაძე, ე. ჰუმბურიძე, ა. საპახტარიშვილი, ნ. ჩხაიძე, ი. ოქროსცვარიძე, ნ. მშვენიერაძე, ნ. თოფურიძე, ს. მუჯირი, ვ. კორძახია, ა. მერკუროვი, თ. ნანობაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ა. აშჩიანი, ვ. ვაკარი, გ. გოგიტიძე თანაგრძნობას უცხადებენ ა. ჭირაქაძეს მისი მამის ვარლამ ჭირაქაძის გარდაცვალების გამო.

შვილები თამარ, მიხეილ, ივანე, რძლები ევგენია და მარგო ქართველიშვილები იუწყებიან მარიამ გრიგოლის ასულ ქართველიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 20-II, 3 ს. კლარა ცეტკინის, 25.

დედა ოსანა, ძმა გრიშა, და კასანია, ისიდორე არჩუაძე და ფილიპე კერესელიძე ოჯახებით იუწყებიან ტრიფონ სიმონის-ძე პეტრიაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-II, 4 ს. სალიანის, 25.

სიძე ვასილ, შვილი რაისა შვილებით: ვახტანგ, თინა, ანელა, ქეთო რობაქიძეები და ბესო სულაძე იუწყებიან კონსტანტინე ოტიას-ძე დვალის გარდაცვალებას. გამოსვენება 20-II, 4 ს. მარტის, 2.

ნ. ყიფიანი, ნ. მაღლაფერიძე, ნ. სვანიძე, ს. შალიკაშვილი, ე. ჭარხალაშვილი, პ. ჰატარაია, ვ. დოლიძე, ი. პოლოსოვი, ა. ჯავახიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ცაგარელს მისი დედის ნინო პეტრეს ასულ ცაგარელის გარდაცვალების გამო.

მეუღლე სეფორა, შვილები ალექსანდრე და ვლადიმერ დვალები ოჯახებით იუწყებიან კონსტანტინე ოტიას-ძე დვალის გარდაცვალებას. გამოსვენება 20-II, 4 ს. მარტის, 2.

მეუღლე ძაძე, შვილები იროდი, კალისტრატე, აპოლონ და ლუნა, რძლები ეკატერინე, ნადია ცანავები შვილებით იუწყებიან ვახილ კიმოთეს-ძე ცანავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II სოფ. ნახუნაოში (გეგეჭკორის რაიონი).

საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან ვ. ქვილითაიას მამის გრიგოლის გარდაცვალებას.

მეუღლე ლეონინა, შვილები გალინა, ვალენტინა, მანია, მათიკო, მარგარიტა და კუკური, რძალი ვენერა, სიძეები დავით ძაბირაძე, ბიკენტი ფერაძე, სიმონ გველესიანი, და გუგული კვინიკაძე ოჯახებით იუწყებიან იაკინთე ასლანის-ძე საყვარელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-II, 5 ს. ზედა საქარაში (ზესტაფონის რაიონი).

მეუღლე ივლიტა, შვილები გრიშა და ზინა, სიძე მიშა მეგრელიშვილი შვილებით იუწყებიან ქრისტეფორე როსტომის-ძე ჩომახიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-II სამტრედიაში, გორკის, 7.

მე-2 რაიფინგანის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ფ. ბრაგვაძეს მისი ძმის ალექსი დიმიტრის-ძე ბრაგვაძის გარდაცვალების გამო.

კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია იუწყებიან კოლმეურნეობის თავმჯდომარის ალექსი დიმიტრის-ძე ბრაგვაძის გარდაცვალებას.

მეუღლე სალომე დედით თამარით, შვილები მერაბ და მერი იუწყებიან ალექსი დიმიტრის-ძე ბრაგვაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-II, 4 ს. თელავში.

მშობლები ანა, დიმიტრი, ძმა ფარნაოზ, რძალი ლალი შვილებით დიმიტრით და გიორგით იუწყებიან ალექსი დიმიტრის-ძე ბრაგვაძის გარდაცვალებას დაკრძალვა 20-II, 4 ს. თელავში.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 01215